

სახალისო კურთხული

ს უ რ ა თ ე ბ ი ნ ი ღ ა მ ა ტ ე ბ ა

გაზეთის № 31

დამაცემის № 6

პეტარა, 6 ოქტომბერი 1914 წ.



ჯვარის მონასტერი
(იხ. დღ. „სახალისო ფურც.“)

ს. ფ ა შ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ღ მ ე პ ს ე ბ ა

იდუმალი მუსიკა

სიმი კენესის, სიმი ჰელეოქავს
და ჰაერს სკრის ხმათა ელვა,
სულს ისზმარი თვისკენ ჰენექავს
გულსა სტოვებს მიწის ლელვა...
*

ვით რიერაუზე მზის ფოთოლი
ნისლის ტევრში ანათოლო—
ისე მარხევს ხმათ გრიგალი
და შორს, სადღაც გადავყევარ,—
მეც ისე ვთრთი, თითქოს მთვრალი
ელექტრონის ძაფზე ვწევარ...
*

იქ სხვა ღმერთი ჰელევს ტახტზე
და მზეც სხივებს სხვაფრივ ჰკენესავს;
იქ ზეფირიც ვარდის ტოტზე
სასიცოცხლონ ნამსა სოესავს;
იქ ამური ჩემს ბაგეზე
სიყვარულის შარბათს ჰლესავს,—
იქ მდუღარე ტყვიის ცრემლი
წამჭამს ველარ დაამძიმებს,
იქ სიცოცხლის სინამდვილე
ერთხელ მაინც გამიღმებს,—
მაშ ნუ შესწყვეტ უხილაო,
დაჰკარ სიმებს... დაჰკარ სიმებს!..
*

და, თუ მწუხარმა შეგიჩეროს
ეგ მუსიკა იღუმალი;
მაშინ ჩემთან მოიკერი
ვით ფრთა მკვეთრი ელვა მალი
და პირ-ბასრი ისრის წვერი

დაჰკარ ჩემსა გულის ნებას;
რომ სიკვდილით გზა მოუჭრა
სინამდვილის მოგონებას!..

ა ლ გ ი რ ა მ ა ზ ი (ელ. ბ—ს.)

როცა ცხოვრების მწარე ნაღველმა
შეგახს საოუთს სასტიკი ხელი
და ფერად ჟამთა ცვალებადობამ
მტვრად გარდაგიქნას იმედი წრფელი;
როს გულის ტოლმე გველის ისარით
მკერდი დაგიჭრას, დაგიიაროს
და ეჭვის ცრემლმა შენს ნორჩ ღაწვებზე
აღმასის მძივად ჩამოიაროს,—

მომიგონებდე მაშინ შენს მგოსანს,
მამცნებდე ხოლმე შენს მწარე გრძნობას
და უკვდავ ლექსით გამოგიგზავნი
სულის სიწრფელეს და თანაგრძნობას...

პ ა ს უ ს ი

მე მჯერა შენი, რომ დროთ სივრცეზე
ეყალსა ვპოვებ ვარდის მძებნელი,
მჯერა, რომ იმედის ცრემლი გასტეხავს
და შავსა წიაღს შთავალ მზე-ბნელი;
მაგრამ არა მსურს, ცხოვრების ტლანქ ბედს
ქედ მოხრით უთხრა სიტყვა მონისა!..
მოვკლა ოცნება და თვითვე ვზიდო
ჩემდამივ ზიზღი ჩემს ფიქრთ წონისა,
ძიება სულის უკვდავებისა,
ჩემს ზანჯვათ შორის დიდი შვებაა;
მტკიცე რწმენა და გზაზედ სიკვდილი
ხომ ნახევარი გამარჯვებაა?..



კომისია სპეციალისტებისა, რომელმაც 22 ივნისს ჯვარის მონასტერი დაათვალიერა. (იბ. დღ. „სახალ. ფურც.“) პირველ რიგში სხედან: შუაში საქ. სასტ.-საეთნოგრაფიო საზოგ. თავმჯდომარე ე. თაიგაი-შვილი, შისგან მარცნივ მასტე. გრინიერესკი და სახ. საბჭოს წევრი დ. ქარიჭაშვილი, მარჯვნივ: ფოტ. ერმაკოვი და სახ. წევ. ს. გორგაძე, ქვემოდ. მოქანდაკე კეპინოვი, მეორე რიგში სხედან: ხუროთ-მოძ. ს. კლდიაშვილი, მოქ. ი. ნიკოლაძე, დ. რესნენკო, ხუროთ-მოძ. ტერ-მიქელოვი, სარქისინი, მადათოვი და კალგინი.

* * *
უამსა მწუხრისას, ოდეს ტა ბნელი
სევდიო აღსავსე დასკერის არეს,
მიწას, სიცოცხლის საფლავად ქცეულს,
გლოვისა ნიშანდ ცრემლს აფრქვეს ცხარეს,
როს ლამის სიო კვნესის, ქვითონებს,
ფრთებ დანამული, მძღოლი, მწირი,
და უზიარებს სევდას ბუნებას,
მაშინ მეც კვნესი, მაშინ მეც ვსტირი.

უამსა დალისას, როს მყერდ მწვანე ტყეს
დილის ნიავი ელამუნება,
არეს მხიარულს მხე დაქათქათებს;
ხარობს მიდამო, ხარობს ბუნება,—
ოდეს ზღვის მკერდზე მთრთოლვარე ტალღებს
ეთამაშება სხივთა ნაქერი,
ოდეს ტოროლა მლერის შვების ხმით,
მაშინ მეც ვხარობ, მაშინ მეც ვმლერი.
— ი. ვადაჭკორია.

ჩ ე ჩ ა

ზღაპარი მაქსიმ გორკისა.

ვაქებდეთ დედას — მხოლოდ იგია მძლეთა-მძლე, მძლევი თვით ქვეყნიერების მპყრობელთა.

აქ არის ბაასი ფოლადზე უმაგრეს მეფეზე, დაკოდილ ვეფხვზე, კოჭლ თემურ-ლენგზე, მრავალ სახელმწიფოების ბედნიერ მაყრობელზე, რომელიც დამხობას უქადიდა მთელს ქვეყნიერებას.

ორმოცდა ათ წელს ვიდოდა იგი დედამიწაზე, მისი მძიმე ნაბიჯი ანადგურებდა ქვეყნებს, სრესდა ქალაქებს, როგორც სპილოს ფეხი ჭინჭველების ხვრელს. წითელი მდინარის ტოტები მიმდინარებდა მისი გზებიდამ ყოველ მხარეს. იგი აშენებდა მაღალ ქოშქებს დამონებულ ხალხთა ძელებიდან, იგი მუსრავდა სიცოცხლეს და საომრად იწვევდა სიკვდილს. იგი შურს იძიებდა სიკვდილზე სურდა წაერთმია მისთვის საზრდო — ცოცხალი ადამიანი — რომ მას შიმშილით და სიბრაზით ამოხდენოდა სული. ეომებოდა სიკვდილს, რადგანაც მან მოსტაცა საყვარელი შვილი ჯიგანგირი.

მას შემდეგ, რაც თემურმა ჯიგანგირი დაჰკარგა და შავებში ჩამოსულმა და თავზე ნაცარ წაყრილმა სამარყანდის ხალხმა მოწიწებით მიიღო. იგი ურჯულო ჯეტონელთა ბრძოლიდამ გამარჯვებით დაბრუნებული, სწორედ იმ დღიდამ — იმ წუთამდე — სანამ არ შეხვდა

ლაპი კეკილა

ოთახში თაფლის სანთლისა შუქი ყვითელ სინათლეს მიმოაფრქვევდა, ლა ფანჯრიდან სიო მსუბუქი სურის ფერ ფარდას ოთანაც არხევდა. მკერდს შიგისუენე და გაშაგებო მინდოდა ტუჩე დაგწაფებოდი, არც კი მეგონა ნიშის მოგებით, თუ კი ხელიდან გამისხლტებოდი. რალაც ფრთხიალი... შენ ელდა გეცა. შემოფარფატდა ლამის პეპელა. ფრთა გაისწორა, ფრთა აიკეცა ნოხის ნაოჭე აცოცდა ნელა.

— „ეს რა ამოდის ჩვენ სავარძელზე?“ სთქვი, თანაც ხელი შემახე ხელზე. და მეც გატყობდი ჩუმის ცახცახით, არ გაშორებდი ლურჯ თვალებს სახით. ლმერთო ეკ რაა? ლამის პეპელა? გაგიგონია მერე ამ ხელა? უყურე, ჩემო, ვილაც ტარტაროზ, ალბად მე და შენ უნდა გაგვყაროს. აქედ მოცოცავს...“

ელდა ნაკრავი ყელს შემომეცვდე ჩუმის ქვითინით, და ჩემს გულმეცრდში რა ჩაპრგავ თავი, შემომეცხვი ბაეშეურ ტიტინით. სანთელი ჩაჭრა... უკანასკნელად ყვითელი ცრემლი ჩამოაფრქვია, ფარდა ატუკდა შეუმჩნეველად ლამებ ორივე ბნელში გაგვხვია.

კ. აბაშისპირელი.



შრომის ფიქრი

იგი სიკვდილს ათრათის ველზე, სადაც სიკვდილმა საბოლოოდ სძლია თემურ-ლენგს — მთელი ოცდა ათი წელიწადი თემურს არც ერთხელ არ გაუღიმია. ისე სცხოვრობდა იგი ტუჩებ შეკრული, ამაყი, წარბ შეუხრელი, გულქვა, რომელმაც არ იცოდა თუ რა იყო სიბრალულის გრძნობა — მთელი ოცდა ათი წელიწადი!..

ვაქებდეთ დედას ერთაღ-ერთ ძალას, რომლის ჭინაშე მორჩილებით თავს იხრის თვით სიკვდილიც.

აქ იქნება ნაამბობი ამბავი დედისა, რომლის ჭინაშე თავი მოიხარი თვით მრისხანე, რეინის თემურმა, ადამიანთა სისხლით დედა-მიწის წითლად შემლებმა.



ვასო აბაშიძე მეუღლით — (მ. საფაროვ-აბაშიძისა)
სურათი გადაღებულია 1879.წ.

ერთ დროს თემური კანიგულას ლამაზ ველზე დაბანაკებული ლხინს მისცემოდა. სამურ ველს თავს დაჰყურებდნენ ვარდის ლრუბლები. ამ არე მარეს სამარკანდის მგოსნები „სიყვარრლის ყვავილს“ ქმარდნენ.

ირგვლივ ველზე ხუთმეტი ათასი კარავი გაშლილიყ. აბრეშუმის ბარალები ცოცხალ ყვავილების მსგავსად ჰაერში ფრიალებდნენ. შუაში მოთავსებულ იყო თემურ-ლენგის კარავი, როგორც მეფე — ყვავილი თავისულის ჭვერში. ოთხივ კუთხივ ას-ასი ნაბიჯი ჰქონდა სიგრძე-სუანე: კედლებს უავრებდა თორმეტი რქოს სეტი, თავს ედგა მტრედასფერა გუმბათი. კარავი ხუთასი წითელი თასმით მიმაგრებული იყო დედამიწაზე რომ-იგი ცაში არ ამართულიყ. ოთხივ-კუთხივ არწივი ეკიდა, მეხუთე კი შუაგულში ამალებულ ადგილის თავზე — ეს არას ტახტი უძლეველთა მძლევ, მეფეთა მეფის, თემურ-ლენგისა!..

მას აცვია ცისფერი ხავერდის წამოსასხამი. შეკელარავებულ თავზე ხურავს თეთრი ქუდი ძვირფასი მძივებით მპუდილი, ხოლო, ქუდის ცაზე, კამარა შეკრულ გვირგვინზე მოციმუშებს ძვირფასი წითელი მარგალიტის მძივი, რომელიც სისხლის წვეთის ელვარების მსგავსად გადაჰყურებს ყოველ კუთხივ მთელს არე-მარეს.

— თემურის სახე, როგორც ბრტყელი დანის პირი, დაუანგებულია სისხლის წვეთებისაგან, რომელშიაც იგი იფლებოდა ათასჯერ. მისი თვალები პაწიაა და ვიწრო, მაგრამ ხედავენ ყველაფერს და მათი ელვარება წააგავს ცოც ცარამითობს ბრჭყალს, არაბთა საყვარელ ქვას, რომელსაც იგინი მარგალებს უწოდებენ და მათს აზრით დასუთულ ავადმყოფებს არჩენს. მეფის ყურებს ავშენებს ცეილონის ძვირფასი ქვებით შემკული საყურები.

მიწაზე დაფენილ ხალიჩებზე, რომელთა შეგავსი ახლა აღარ მოიპოვა — იდგა სამასი ოქროს ჩაფი ღეინით სავსე და ყველაფერი რაც-კი საკირა იყო მეფეთა-მეფის ნადიმისათვის. თემურის ზურგს უკან სხელან მემუსიკენ. მის გვერდით არგონ. ხოლო მეფის ფეხრთა წინაშე ჩამწერივებულან მისი მახლობელი, მეფენი და წარჩინებული თავაღნი, მხედართ მთავარი და თემურ-ლენგის ყველაზე მახლობელი სამარყანდის მგოსანი კერპანი, ის მგოსანი რომელმაც ერთხელ შევენიერების შემუსვრელის კითხაზე:

— კერმანი! რაოდენ სასყიდელს გაიმეტებდი ჩემში, მე რომ გასასყიდი ვყოფილიყავ?

მგოსანმა, სიკვალისა და საშინელების მთესველს ასე უპასუხა:

— იცდა ხუთ ქსკერს!

— ეს ხომ შარტო ჩემი ქამის სალირალია! — წამოიძახა გან-

ცვიფრებულმა თემურმა.

— მეც მხოლოდ მარტო ქამარზე ღა ვფიქრობ, — უპასუხა კერ-

მანიმ. — დიღა, მხოლოდ ქამარზე, რაღვანაც თითონ შენ ცალ ფარ-

დაც არ ღირხარ!...

ი როგორ ელაპარაკებოდა მგოსანი კერმანი მეფეთა მეფეს, ბოროტებისა და გულქვაბის გამომხატველს ადამიანს, და იყოს ჩენენთვის დიდება მგოსნისა, სამართლიანობის მეფობრისა მუდამ უძლიერებისა და უმეტესი თემურ-ლენგის ძლიერებისა!

ვადიდებდეთ მგოსნებს, რომელთაობისაც არსებობს წეოლოდ ერთი ღმერთი — ლამაზად თქმული უშიშარი სიტყვა სიმართლისა, აი ვინ არის ღმერთი, მათთვის მუდამ!

და ი, ამ დროს, ქეიფსა და ლხინში, სამურ დროს ტარებაში, სამაყო მოგონება ბაასში გა არჯვებულ ბრძოლებზე, მუსიკის ხმა-ურობაში და ხალხის ურიამულში, მეფის კარავთან, სადაც დახტოდნენ მრავალნი ათასურად აქრელებულნი მასხარანი, ჭიდაობდნენ გამოჩენილნი ფალაგანი, იყლანებოდნენ ჯამბაზები, იწვორობდნენ მეომარინი ადამიანთა ხოცვა-ულეტაში და იყო წარმოდგენა წითლად და მწვანედ შეღებილ სპილოების დაბმარებით — ამ მხიარულების წუთებში, როდესაც თემურლენგის შიშით და ღვინით დამტვრალი ხალხი ერთმანეთში ირეოდა, სწორედ ამ საერთო არეულობაში, როგორც ელვა შავ ღრუბლებზი, ბაიაზეთის ხონთქრის. დამპყრობელს მოესმა ქალის ყვირილი, მრისხან წივილი მედიდური არწივისა, ხმა ოდესაც ნაცნობი და მონათვესავე.

მან ბრძანა გაეგრო, ვინ გაჰქიოდა იქ ხმითა მწუხარებითა, და მას მახსენეს რომ გამოწნდა ვილაც დედაკაცი, იგი მთლად მტვერ-შია გახეული და დაკონკილ ტანისმოსში, წაგავს სულელს, არა-ბულ ენაზე ლაპარაკობს და მოითხოვს — დიალ, ხა, ხა, მოითხოვს!! — აჩვენონ იგი, მეფეთა-მეფე შპრძანებელი მთელი ქვეყნიერების სამი მეოთხედისა..

— მოიყვანეთ აქ! — ბრძანა თემურმა.

და აგრე მის წენა სტგას დედაკაცი — ფეხტიტველი, დაკონკილ და მზის შუქზე ფერწასულ ტანისმოსით, გაწეწილი შავი თმა უფარავს ტიტველ გულმკერდს. სახე აქვს გაპრალებული, თვალები ბრძანების შუქით გაბრწყინებული და მზეზე დამწვარი შავი მელავები, რომელიც კოჭლ თემურლენგისკენ გაეწვალნა არა კანკალებდნენ.

— შენ დაამარცე ხონთქარი ბაიაზეთისა? — იკითხა მან.

— დიალ, მე- მე გამლი აგრედე ბევრს სხვებსაც და ჯერ კი-დევ არ დავკან ცულვარ გამარჯვებით. შენ-კი რას იტყვი დედაკაცი?

— ყური დამიგდე! სოქვა მან. — რაც უნდა მოიმოქმედო, შენ — მხოლოდ კაცი ხარ, მე-კი — დედა! შენ ემსახურები სიკვდილს, მე — სიცოცხლეს. შენ დამნაშავე ხარ ჩემს წინაშე და აი მოვედი მოვითხოვო რომ გამოისყიდო შენი დანაშაული. მე მოითხეს რომ შენი დევიზია „მალა-სამართლიანობისა“ — მე ეს არ ჯერა, მაგრამ ჩემს წინაშე-კი უნდა იყო სამართლიანი, რადგანაც მე — დედა ვარ!

მეტეს საქმა სიბრძნე ჰქონდა რომ მიხედარიყო თუ თავებდ სიტყვებში რაოდენი ძლიერება იმალებოდა — და სოქვა:



მსახიობები: შ. დადიანი, დ. აშურელი, ვ. არაბიძე და ვ. ბალანჩიგაძე.

— დაჯერ და ოლაპარაკე, მე შეურს ყური დაგიგდო!

დედაკაცი მოთავსდა შეუე — დიდებულთა შორის და დაიწყო:

— მე სალერნოდამ გარ, ეს ძლიერ შორსაა, იქ, იტალიაში, შენ არ იცი ეს ქვეყანა. მამაჩემი მეთევზე იყო, ჩემი ქმარიც. იგი იყო ბედნიერი — მე შევადგენდო იმისი ბედნიერების წყაროს. მყავდა აგრედვე შვილი. ლამაზი და საყვარელი ბავშვი მთელს დედამიწაზე...

— როგორც ჩემი ჯიგანგირი, — ჩემად წარმოსთქვა ძველმა მეომარმა, თემურმა.

— ლამაზი და ჭკვიანი ბავშვი, — ეს ჩემი შვილი იყო! იგი ექვსის შლისა მყავდა, როდესაც ჩვენს ნაპირზე გადმოვიდნენ სარაცინის ყაჩალები, მათ მოჟელს მამაჩემი, ჩემი ქმარიც და მრავალნი სხვანი, ჩემი ბავშვი მოიტაცეს და აი, ოთხი წელიწადია რაც მას დავეძებ დედამიწაზე. ეხლა იგი შენთან არის. მე ეს ვიცი, რადგანაც ბაიაზეთ ხონთქრის მხედრობამ შეიცყრო ყაჩალთა ბრძო — შენ-კი ბაიაზეთი დაამარცხე და წართვი მას ყველაფერი. შენ უნდა იცოდე სადაა ჩემი შვილი, უნდა მომცე იგი!

ყველამ გადიხარხარა, და მოახსენეს მეფეს — ისინი მუდამ ბრძენათა სთვლიან თავის თავს!

— ეს დედაკაცი — სულელია! — სთქვეს მეფეთ და თემურას მახლობელებმა, თავადებმა და ჯარის უფროსებმა... და ყველანი იცინდენენ.

მხოლოდ მგოსანი კერმანი იდგა დაფიქრებული და თემურ-ლენგი-კი დიდად გაოცებული.

— იგი უგონია როგორც გამწარებული დედა! ჩუმად წარმოსთქვა მგოსანმა. მეფემ-კი იკითხა:

— დედაკაცი! როგორ მოხველო იმ ქვეყნიდამ, ჩემთვის ჯერ უცნობ აღგილიდამ. როგორ გადალახე ზღვა, წყალი, მთები და ტყე-ები? რატომ არ დაგულითეს მხეცება? შენ ხომ მოდიოდი უარისო, რომელიც ერთად-ერთი მფარველია განწირულისა, და ერთგული მფარველი ადამიანისა სანამ მას მელავლში ძალა აქვს? მე მინდა ვიცოდე ყოველივე ეს, რომ დაგერწმუნო!

ვაქებდეთ დედას, — რომლის სიყვარულს არ აქვს საზღვარი. რომლის ძემურიც ალზრდილა მთელი ქვეყანა. ყოველი მშევნიერება ადამიანში არსებობს მხის სხივებისგან და დედის რძისაგან.

დედამ უპასუხა თემურ-ლენგს:

— ზღვა შემხვდა მხოლოდ ერთი. მასზე იყო მრავალი კუნძული, ნაპირზებზე მეთევზების ნავი, და მაშინ როდესაც გულის ძეირ-ფასს დაექებ ხშირად ზურგის ქრიც დაპერავს ხოლმე... მდინარეები აღვილი გადასაურია მისთვის, ვინც დაიბადა და აღიზარდა ზღვის ნაპირას. მთები?.. მე ვერ შევამჩნი მთა-გორაკები!

აქ მგოსანა კერმანიმ მხიარულად სთქვა:

— მთანი და კლდენი ველ-მინდვრად იქცევა ოდესაც გიყვარს!..

— ტყები-კი მართლაც იყო გზებზე — სთქა დედამ. მხვდებონენ მელები, დათვები, საშიშარი მარტო რქები, ლომები, ორჯერ მომჩერებოდნენ ვეფხვის თვალები აი ისე როგორც ახლა შენი თვალები. მაგრამ ყოველ ცხოველს, ყველა მხეცსა აქვს გული, მე ვსაუბლები. მათთან ისე როგორც შენთან, მათ სკეროდათ რომ მე ვირბდი მათთან ისე როგორც შენთან, მათ სკეროდათ რომ მე ვირბდი — დედა, — და ოხვრა კვნესით მშორდებოდნენ. მათ ვებრალებოდი მე! განა შენ-კი არ იცი, რომ მხეცთაც უყვართ თავისი შვილი და იბრძიან მათთან სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ადამიანებზე არა ნაკლებად?

— აგრე, დედაკაცი, აგრე! — სთქვა თემურმა. — ხშირად, — მეც ვიცი — მათ უყვართ უფრო ძლიერად და იბრძიან უფრო მედგრად ვიდრე ადამიანი.

— ადამიანი — სთქვა დედამ, ეს ხომ შვილი არიან დედაკაცი-სა. ყველას ჰყავს დედა. ყველანი რომელიმე დედის შვილი არიან. აი, შენც, მოხუცო, ხომ იცი ეს, გშვა დედაკაცმა, შენ შეგიძლიან არ გაყვავილდებიან ყვავილები. უსიყვარულოდ არაა ბედნიერება. უდედაკაცოდ არ სუფეს სიყვარული, უდედოდ არ ჩნდება არც მგოსანი არც გმირი.

ქალმა გაიმეორა:

— მომეცი მე ჩემი შვილი, რადგანაც მე დედა ვარ და მიყვარს.

თაყვანი ვსცეთ დედას — მან შეა მოსე, მაჳმადი, და დიდი წინაშარმეტყველი ქრისტე, რომელიც ბოროტ ადამიანთაგან ჩამოხარიბილ იქნა, მაგრამ — როგორც შარიფენდიმ სთქვა — იგი კვლავ ალსდება განსჯად ცოდვილთა და მართალთა დამასკში, დიალ, და მასკში მოხდება ეს!

თაყვანი ვსცეთ დედას — რომელიც ქვეყნად აჩენს დიდებულ არისტოტელს, ფირდუსის, სააღილს და ომარ ხაიმს — ყველა ესენი მის შვილია, ამათ ყველამ სვა მისი რძე. მოელ ქვეყნის სიამაყე — დელისგან არის.

და დაფიქრდა მოხუცი, მმუსლავი ქვეყნიერებისა, კოჭლი თემური. დიდხანსა სდუმდა, შემდევ წარმოსთქვა:

— მე, მონა ლვოთისა. თემური, ვაბბობ სიმართლეს. აი — ვსცოცხლობ მე, უკვე მრავალი წელიწადია დედამიწა ჰყენებს ჩემს ფეხოთა ქვეშე. ოცდა ათი წელიწადია რაც მე სიკვდილის სათიბსა ვმეკი, აი ამ მარჯვენით ვთიბავ მის ყანას, რომ შური ვიძიო ჩემი ჯიგანგირის მოტაცების გამო, რადგანაც მან ჩამიქრო ჩემი გულის მზე. მომბდნენ ჩემთან მხოლოდ სამეფოსა და ქალქებისთვის და არავინ არასოდეს ადამიანისათვის, და არ ჰქონია ჩემს თვალში ადამიანს ფასი, არ ვიცი ვინ იყო, და რაც იდგა იგი ჩემს წინ გზაზე. ეს, მე, თემურმა ვუთხარ ბაიაზეთს როდესაც ვსძლიერ: ოჲ, ბაიაზეთ, როგორცა სჩანს, უფლის წინაშე არარობაა სამეფო და ხალხი! ხედავ, იგი აძლევს მათ ასეთ მბრძანებლებს როგორც ჩენ დაფიხვილი ხარ, მე — კოჭლი! ასე ვუხარი მე მას, როგორც მომგვარეს იგი ჯაჭვებით შებორებილი, რომლის სიმძიმესაც ველარ უძლებდა — ასე ვუთხარ მას, როდესაც ვიხილე მისი უბედურება და ვიგრძენ ცხოველების სიმწარე, არარობა.

— მე მონა ლვოთისა, თემური გეუბნებით! აი — ზის ჩენს წინ დედაკაცი — დედა, რომლის მსგავსიც უთვალავია, და მან გამოიწვია. ჩემში გრძნობა უცხო და უცნობი. მესაუბრება იგი როგორც თანასწორს და კი არ ითხოვს — მოითხოვს! და მე ვხედავ, მე მივხვდი, მე ვგრძნობ, ვიცი — თუ რითია ეს დედაკაცი ჩენზე ძლიერი; — მას უყვარს! — და ამ გრძნობამ მიხვედრა იგი, რომ შვილი მისი — არის ნაპერწარილი სიცოცხლისა, რომელსაც შეუძლიან ცეცხლის ალად გარდიქცეს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. განა ყველა წინაშარ მეტყველნი არ იყვნენ ბავშვი და გმირნი — უღონონი? ოჲ, ჯიგანგირ, სითბოვ ჩემის მხედველობისავ, შეიძლება შენ უნდა ყოფილიყო გამოიხილო და სასლობა!

თემური დაჩუმდა და დიდიხნის დუმილის შემდეგ კვლავ წარმოსთქვა:

— სამასი მხედარი გაეშურებიან ჩემი ქვეყნის ყოველ კუთხი! იპოვონ შვილი ამ დედაკაცისა. ეს აქ მოაცდის. არც მე დავიძრი ამ აღგილიდამ, და ის ვინც დაბრუნდება ბავშვით — იგი იქნება ბედნიერი — ამასაც ამბობს თემური!..

ესა სთქვა და თემურ-ლენგმა ქალს გადახედა:

— ასე არ არის დედაკაცი!..

— დიალ, მეფეო, — ლიმილით თავი დაუკრა დედა.

და მხიარულმა მგოსანმა კერმანიმ, ბავშვივით ალტაცებულმა. გრძნობით წარმოსთქვა:

რა სჯობს ვაქებდეთ, ვადიდებთ ვყავილთ შეენება!

ყველა გაიგებს რომ დაპერავს — სიყვარულის ჰანგს.

რა სჯობს მზის სხივებს, ნათელსა დღეს, მაისის დილას?

ყველა მიხვდება რომ აქ მართავ — სხიარულის ჩანგს!

ვიცით — შეენება ვარსკვლავებით მოჭედილ ცისა;

ვიცით — თბილი მზის ძლიერება გამოზაფხულზე

ვიცით — ყვავილთ ჯეუფს — სჯობს თვალები სიყვარულისა,

მისი ლიმილი, ნეტარ გრძნობას, ვიცით, ვეფენს გულზე!

მაგრამ არ ვუწყით, არც გვისმენია, ჰანგი ციური

ჰანგი დასაბამ — დასაწყისი წუთისოფლისა;

ჰანგი ძლიერი, დიდებული, მარათ ლვიური

რომელს უწოდა უკავებებამ — გრძნობა დედისა!

და უთხრა თემურ ლენგმა თავის მგოსანს:

— აგრე, კერმანი! აგრე! არ შემცდარა ლმერთი რომ ამოარჩია. შენი ბაგნი, რათა აქ მისი სიბრძნე.

— ეჲ, ლმერთი თითონაც გვარიანი მგოსანია! — სთქვა ლიმილით კერმანიმ.

და გაილიმა ახლა პირველად თვით თემურ-ლენგიც, ილიმებონენ ყველანი, მეფენი და მთავარი, თავადი და წარჩინებული. მხედვებით დედამიწა და ადამიანი... ილიმებონდა დედაც...

ვაქებდეთ დედას, დედის გრძნობას, მის მძლევ სიყვარულს...

ჯაფარ ფაზა

